მცხეთის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების სამუშაო ჯგუფის შეხვედრის

ოქმი №1

სხდომის ჩატარების ადგილი

ქ.მცხეთა, ანტიოქიის ქ.7

(მერიის ადმინისტრაციული შენობა)

სხდომის ჩატარების თარიღი და დრო

22/11/22, 11:00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი - ***დიმიტრი ზურაგიშვილი;***

სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი - - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ***ილია ციციშვილი;***

სამუშაო ჯგუფის წევრები:

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ***ნინო ჩინაშვილი;***

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ***ნუგზარ ხუხუნაიშვილი;***

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ***თეიმურაზ ჯერვალიძე;***

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ***ზურაგ ივანიშვილი;***

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ***ანა მამაგეიშვილი;***

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - *გიორგი პაპაშვილი.*

შეხვედრას, ასევე დაესწრო:

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - *თამაზ ფოლოდაშვილი;*

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - *გიორგი ბაჯაძე;*

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - *ეკატერინე ბაღაშვილი;*

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - *ზურაბ საგინაშვილი;*

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ჯანდაცვის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - *ვასილ ბერუაშვილი;*

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის ეკონომიკის სამსახურის ქონების მართვის და აღრიცხვის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - **შალვა ქემოკლიძე;**

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი - *მზია მრევლიშვილი;*

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - *თამარ ელოშვილი.*

დღის წესრიგი:

1.მცხეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

მოისმინეს:

1.მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა - ილია ციციშვილმა მიმართა დამსწრე პირებს:

-როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსისა“ და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ საკრებულოს დადგენილების პროექტის მომზადება მერიის მიერ და მისი განხილვა და დამტკიცება მუნიციპალიტეტის საკრებულოში ხორციელდება ყოველწლიურად. შესაბამისად, დღეს, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ შედგენილი და წარმოდგენილია, მცხეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც განსაზღვრავს 2023 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს. ამასთან, მინდა განვმარტო, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებელზე და მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცვად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე. შესაბამისად, ბიუჯეტის ***პარამეტრები*** განისაზღვრა შემდგენაირი:

საგადასახადო შემოსავლები:

2023 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 29 074,6 ათასი ლარის ოდენობით, 2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან - 25 145,2 ათ. ლარი - შედარებით იზრდება 3 929.4 ათასი ლარით (16%-ით).

საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში **23 029,6** ათას ლარს შეადგენს. 2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან - **20 020,2** ათ. ლარი - შედარებით 2023 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 3 009.4 ათასი ლარით (15%-ით).

2023 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 10 079,6 ათასი ლარით; 2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით (7 520.2 ათ. ლარი) დღგ გაზრდილია 34%-ით (2 559,4 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი

გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 12 950,0 ათას ლარს; 2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან (12 500 ათ. ლარი) შედარებით ქონების გადასახადი 3,6%-ით (450,0 ათასი ლარით) იზრდება.

2023 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება **445,0** ათასი ლარით - მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად;

2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან (405,0 ათ. ლარი) შედარებით მიზნობრივი ტრანსფერი 10%-ით (40,0 ათასი ლარი) იზრდება.

სხვა შემოსავლების სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება **5 000,0** ათასი ლარით, 2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან (4 120,0 ათ. ლარი)შედარებით გაზრდილია 21%-ით (880,0 ათასი ლარით), მათ შორის:

შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია **1 750,0** ათასი ლარის ოდენობით, **მათ შორის:**

პროცენტები - 1 000,0 ათასი ლარი.

2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან (650,0 ათ. ლარი) შედარებით პროცენტების საპროგნოზო მაჩვენებელი 54%-ით (350,0 ათასი ლარით) იზრდება.

რენტა - 750,0 ათასი ლარი;

2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით (690,0 ათ. ლარი) რენტა 9%-ით (60,0 ათასი ლარით) იზრდება, რაც განპირობებულია ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან მისაღები შემოსავლის გაზრდით (ბუნებრივი რესურების მოპოვებაზე გაცემული ლიცენზიების გაზრდილი რაოდენობის გამო).

შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან **განსაზღვრულია 1 050,0 ათასი ლარის ოდენობით,** 2022 წლის გეგმიურ

მაჩვენებელთან (780,0 ათ. ლარი) შედარებით იზრდება 35%-ით (270,0 ათასი ლარი), **მათ შორის:**

სანებართვო მოსაკრებლები - 300,0 ათასი ლარი;

მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 730,0 ათასი ლარი;

არა საბაზრო დაწესებულების მიერ განხორციელებული გაყიდვები - 20,0 ათასი ლარი;

შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან **განსაზღვრულია 2 200,0 ათასი ლარის** ოდენობით, 2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან (2 000,0 ათ. ლარი) შედარებით საპროგნოზო მაჩვენებელი 10%-ით (200,0 ათასი ლარი) იზრდება. მათ შორის:

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) შემოსავალი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო 2 000,0 ათასი ლარი;

შემოსავალი არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო 49,5 ათასი ლარი;

სხვა შემოსავლები სანქციებიდან, ჯარიმებიდან და საურავებიდან 150,5 ათასი ლარი;

არაფინანსური აქტივების კლებიდან (პრივატიზაცია) განსაზღვრულია 600.0 ათასი ლარი;

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს **29 074,6** ათას ლარს (2022 წლის დამტკიცებულ გეგმასთან - **25 145,2** ათას ლარი - შედარებით იზრდება **3 929,4** ათ. ლარით - 16 %-ით).

საქართველოს 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით 2022 წელთან შედარებით გაზრდილია „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საბაზო თანამდებობრივი სარგო და

განსაზღვრულია 1 180 ლარის ოდენობით. შესაბამისად, საჯარო სექტორში დასაქმებულ ყველა იმ მოხელეზე, ვისზედაც ვრცელდება ზემოთ აღნიშნული კანონი, გადაანგარიშებულია თანამდებობრივი სარგოების მოცულობები, რაც შეეხება შრომის ანაზღაურების ფონდს, მისი მოცულობა გაანგარიშებულია მოქმედი საშტატო განრიგის მიხედვით და გაზრდილია 10%-ით.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

ინფრასტრუქტურის განვითარება - 7 329,0 ათასი ლარი:

- **საგზაო ინფრასტრუქტურის** განვითარება - 2 025,0 ათასი ლარი; მათ შორის:

გზების კაპიტალური შეკეთება 1 025,0 ათასი ლარი;

გზების კეთილმოწყობა - 1 000,0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაზიანებული ამორტიზირებული გზების კაპიტალური (მათ შორის ხიდების, ბოგირების, ტროტუარების, ბორდიურების, საყრდენი კედლების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) შეკეთება/რეაბილიტაცია;

- **წყლის სისტემების** განვითარება -2 234,0 ათასი ლარი, მათ შორის:

სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა - 1 160,0 ათასი ლარი; (შპს "მცხეთის სოფწყალი"-ს დაფინანსება);

სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია - 974,0 ათასი ლარი;

საკანალიზაციო სისტემის მოწყობა - რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 100,0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალმომარაგების არსებული ქსელის მოვლა-შენახვის ღონისძიებები, რეაბილიტაცია და ახლის მოწყობა.

- **გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია** -1 660,0 ათასი ლარი; მათ შორის:

გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება - 1 300,0 ათასი ლარი;

გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა - 360,0 ათასი ლარი; (ა(ა)იპ "მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური"-ს დაფინანსება);

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია, გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება, არსებული ქსელის ექსპლოატაცია.

- **მუნიციპალური, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია - 70,0 ათასი ლარი;**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ადმინისტრაციული შენობის მოვლა-პატრონობა.

- **კეთილმოწყობის ღონისძიებები - 460,0 ათასი ლარი, მათ შორის:**

საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (სკვერები და მოსაცდელები) – 280,0 ათასი ლარი, სკვერებში არსებული სასმელი წყლის ხარჯის დაფინანსება;

დაზიანებული მუნიციპალური ქონების მოვლა-პატრონობა - 80,0 ათ.ლარი (ა(ა)იპ "მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური"-ს დაფინანსება);

სადღესასწაულო ღონისძიებები - 100,0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის იერსახის გაუმჯობესებისათვის საჭირო სამუშაოები, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება, ქალაქის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია, საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, რეაბილიტაცია/ექსპლოატაცია და სხვა ღონისძიებები.

- **სანიაღვრე არხების, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაცია - 80,0 ათასი ლარი;**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლებში სარწყავი და სანიაღვრე არხების მოვლა-პატრონობა;

- **მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება** - დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური

ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები განსაზღვრულია 800,0 ათასი ლარით, მათ შორის, 600.0 ათასი ლარი - პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და 200,0 ათასი ლარი - პროექტების სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების ღირებულება;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების ხარჯებისა და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება.

სულ მუნიციპალიტეტში ახალი ინფრაპროექტების განსახორციელებლად განსაზღვრულია 3 575,0 ათასი ლარი:

ათასი ლარი

კოდი	დასახელება	2023 წლის პროგნოზი
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია არაფინანსურში	**3,575.0**
02 01 02	გზების კაპიტალური შეკეთება	**1,025.0**
02 01 03	გზების კეთილმოწყობა	**1,000.0**
02 02 02	სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია	**950.0**
02 04	მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება (პროექტების თანხა)	**600.0**

დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 2 225,0 ათასი ლარი;
მათ შორის:

- **დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 2 000,0 ათასი ლარი** (ა(ა)იპ "მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური"-ს დაფინანსება);

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა (ა(ა)იპ "მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური"-ს დაფინანსება);

- **მწვანე ნარგავების გაშენება, მოვლა-პატრონობა - 145,0 ათასი ლარი**

მოსახლეობისთვის ჯანსაღი და კომფორტული გარემოს შესაქმნელად აუცილებელია მუნიციპალიტეტის გამწვანება და ეკოსისტემის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში მოხდება მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების მოვლა-პატრონობა.

- **უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები - 80,0 ათასი ლარი.**

პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უმეთვალყურეოდ დარჩენილი ძაღლების დეჰელმეტიზაციის (ჭიაზე დამუშავება), დაჭერა-იზოლაციის, სტერილიზაციის, კასტრაციის, ვაქცინაციის (ანტირაბიული) და იდენტიფიკაციის (დანომრილი საჭდის ყურზე დამაგრება) მომსახურების შესყიდვა.

განათლება - 6 285,7 ათასი ლარი, მათ შორის:

- **სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა - 6 240,7 ათასი ლარი;**

2022 წელთან შედარებით თანხების გაზრდა გამოწვეულია სკოლამდელი დაწესებულებების თანამშრომლების ხელფასების მატებით;

- **ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა- 45,0 ათასი ლარი;**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ყოველი სემესტრის ბოლოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მე-11 და მე-12 კლასის წარჩინებული მოსწავლეების წახალისება.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი - 2 861,5 ათასი ლარი, მათ შორის:

- **სპორტის სფეროს განვითარება - 1 357,5 ათასი ლარი;**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით.

- ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა - 263,5 ათ. ლარი;
- კანოესა და ნიჩბოსნობის განვითარების ხელშეწყობა - 276,0 ათ. ლარი;
- ჭიდაობის განვითარების ხელშეწყობა - 359,0 ათ. ლარი;
- სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების ხელშეწყობა - 209,0 ათ. ლარი;
- საცურაო სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 250,0 ათ. ლარი;

- **კულტურის სფეროს განვითარება - 1 504,0 ათასი ლარი;**

- კულტურის და განათლების მულტიფუნქციური ცენტრის ხელშეწყობა - 1 195,5 ათასი ლარი;
- მუზეუმების ხელშეწყობა - 42.0 ათ.ლარი.
- **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა - 20.0** ათ.ლარი;
- **კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა** - ა(ა)იპ "მცხეთის კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი" - **246,5** ათასი ლარი;

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1 917,9 ათასი ლარი, მათ შორის:

- **ჯანმრთელობის დაცვა - 1 159,0 ათ.ლარი; მათ შორის:**

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება - 259,0 ათ. ლარი (მ.შ. მიზნობრივი ტრანსფერი -219,0 ათასი ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსება - 40,0 ათასი ლარი)

პროგრამა ითვალისწინებს ა(ა)იპ "მცხეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ს დაფინანსებას „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების შესასრულებლად

(მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობა, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება, უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნა).

მოქალაქეებისათვის მკურნალობის და ოპერაციის ხარჯების დაფინანსება - 900.0 ათ. ლარი;

- **სოციალური დაცვა - 758,9** ათ.ლარი, გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 462.4 ათ. ლარი:

- სკოლამდელი და შშმ ბავშვების ტრანსპორტირება - 200.0 ათ.ლარი;
- საგურამოს შშმ პირთა დღის ცენტრის "იალონი" ბენეფიციარების სწავლების თანადაფინანსება - 2.4 ათ.ლარი;
- სოციალური პროგრამების დაფინანსება - 100,0 ათ.ლარი (მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება, აუტისტური სპექტრის და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების, ცელიაკიით დაავადებული პირების ფინანსური დახმარება და სხვა);
- სამშენებლო მასალები - 80.0 ათ.ლარი;
- გაჭირვებული მოსახლეობისთვის შეშის შეძენა - 80.0 ათ. ლარი.

ერთჯერადი სოციალური დახმარება - 100.0 ათ. ლარი;

სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება - 4.0 ათ. ლარი;

დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების ფინანსური დახმარება - 26,0 ათ.ლარი;

ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანების ხელშეწყობა - 70.7 ათ.ლარი;

ა(ა)იპ "მცხეთის უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთათვის" – 95,8 ათ.ლარი.

- *მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები* - 8 455,5 ათასი ლარი, მათ შორის:

  მუნიციპალიტეტის საკრებულო დაფინანსება - 1 217,5 ათასი ლარი;

  მუნიციპალიტეტის მერია - 6 449,8 ათასი ლარი;

  სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახური -250,0 ათასი ლარი, მ.შ. 226,0 ათასი ლარი მიზნობრივი ტრანსფერიდან, 24,0 ათასი ლარი - ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

  სარეზერვო ფონდი - 300,0 ათასი ლარი;

  თანამშრომლების სწავლება-გადამზადება - 46,6 ათასი ლარი;

  სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის დასაფარი თანხა და ვალის მომსახურება 191,6 ლარი, მათ შორის ძირი (ვალდებულებების კლება) 125,8 ლარი და პროცენტი - 65,8 ლარი.

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2023 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის	
			საკუთარი სახსრები	სახელმწიფო ბიუჯეტი
	მცხეთის მუნიციპალიტეტი	**29,074.6**	**28,629.6**	**445.0**
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	**8,455.5**	**8,229.5**	**226.0**

პროგრამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2023 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის	
			საკუთარი სახსრები	სახელმწიფო ბიუჯეტი
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	7,963.9	7,737.9	226.0
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	1,217.5	1,217.5	-
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	6,449.8	6,449.8	-
01 01 03	სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახური	250.0	24.0	226.0
01 01 04	საჯარო მოხელეთა პროფესიული სწავლება	46.6	46.6	-
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	491.6	491.6	-
01 02 01	სარეზერვო ფონდი	300.0	300.0	-
01 02 03	წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა (მგფ-ს სესხი)	191.6	191.6	-
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	7,329.0	7,329.0	-
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2,025.0	2,025.0	-

პროგრამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2023 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის	
			საკუთარი სახსრები	სახელმწიფო ბიუჯეტი
02 01 02	**გზების კაპიტალური შეკეთება**	**1,025.0**	**1,025.0**	**-**
02 01 03	**გზების კეთილმოწყობა**	**1,000.0**	**1,000.0**	**-**
02 02	**წყლის სისტემების განვითარება**	**2,234.0**	**2,234.0**	**-**
02 02 01	**სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა**	**1,160.0**	**1,160.0**	**-**
02 02 02	**სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია**	**974.0**	**974.0**	**-**
02 02 03	**საკანალიზაციო სისტემის მოწყობა - რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**	**100.0**	**100.0**	**-**
02 03	**გარე განათება**	**1,660.0**	**1,660.0**	**-**
02 03 01	**გარე განათების ქსელის ექსპლოტაცია**	**1,660.0**	**1,660.0**	**-**
02 03 01 01	გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება	1,300.0	1,300.0	-
02 03 01 02	გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა	360.0	360.0	-
02 04	**მუნიციპალური, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია**	**70.0**	**70.0**	**-**

პროგრამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2023 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის	
			საკუთარი სახსრები	სახელმწიფო ბიუჯეტი
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	**460.0**	**460.0**	**-**
02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (სკვერები და მოსაცდელები)	280.0	280.0	-
02 06 02	დაზიანებული მუნიციპალური ქონების მოვლა-პატრონობა	80.0	80.0	-
02 06 03	სადღესასწაულო ღონისძიებები	100.0	100.0	-
02 08	სანიაღვრე არხების, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაცია	**80.0**	**80.0**	**-**
02 09	მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	**800.0**	**800.0**	**-**
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	**2,225.0**	**2,225.0**	**-**
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	**2,000.0**	**2,000.0**	**-**

პროგრამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2023 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის	
			საკუთარი სახსრები	სახელმწიფო ბიუჯეტი
03 02	**მწვანე ნარგავების გაშენება, მოვლა-პატრონობა**	**145.0**	**145.0**	**-**
03 02 01	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა	145.0	145.0	-
03 04	**უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები**	**80.0**	**80.0**	**-**
04 00	**განათლება**	**6,285.7**	**6,285.7**	**-**
04 01	**სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა**	**6,240.7**	**6,240.7**	**-**
04 04	**ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა**	**45.0**	**45.0**	**-**
05 00	**კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**	**2,861.5**	**2,861.5**	**-**
05 01	**სპორტის სფეროს განვითარება**	**1,357.5**	**1,357.5**	**-**
05 01 01	**სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა**	**1,357.5**	**1,357.5**	**-**
05 01 01 01	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	263.5	263.5	-
05 01 01 02	კანოესა და ნიჩბოსნობის განვითარების ხელშეწყობა	276.0	276.0	-

პროგრამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2023 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის	
			საკუთარი სახსრები	სახელმწიფო ბიუჯეტი
05 01 01 03	ჭიდაობის განვითარების ხელშეწყობა	359.0	359.0	-
05 01 01 04	სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების ხელშეწყობა	209.0	209.0	-
05 01 01 05	საცურაო სპორტის განვითარების ხელშეწყობა	250.0	250.0	-
05 02	**კულტურის სფეროს განვითარება**	**1,504.0**	**1,504.0**	**-**
05 02 01	**კულტურის დაწესებულებების ხელშეწყობა**	**1,237.5**	**1,237.5**	**-**
05 02 01 01	კულტურის და განათლების მულტიფუნქციური ცენტრის ხელშეწყობა	1,195.5	1,195.5	-
05 02 01 04	მუზეუმების ხელშეწყობა	42.0	42.0	-
05 02 04	**რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**	**20.0**	**20.0**	**-**
05 02 05	**კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა**	**246.5**	**246.5**	**-**
06 00	**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**1,917.9**	**1,698.9**	**219.0**

პროგრამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2023 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის	
			საკუთარი სახსრები	სახელმწიფო ბიუჯეტი
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	**1,159.0**	**940.0**	**219.0**
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	**259.0**	**40.0**	**219.0**
06 01 02	მოქალაქეების მკურნალობის და ოპერაციების ხარჯების დაფინანსება	**900.0**	**900.0**	**-**
06 02	სოციალური დაცვა	**758.9**	**758.9**	**-**
06 02 01	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	**462.4**	**462.4**	**-**
06 02 02	ერთჯერადი სოციალური დახმარება	**100.0**	**100.0**	**-**
06 02 03	ომის ვეტერანთა სოციალური დაცვა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება	**4.0**	**4.0**	**-**
06 02 04	დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების ფინანსური დახმარება	**26.0**	**26.0**	**-**
06 02 05	ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანების ხელშეწყობა	**70.7**	**70.7**	**-**

პროგრამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2023 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის	
			საკუთარი სახსრები	სახელმწიფო ბიუჯეტი
06 02 06	**მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება**	**95.8**	**95.8**	**-**

მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 8 079,7 ათასი ლარი;
- თავდაცვა - 250.0 ათასი ლარი;
- ეკონომიკური საქმიანობა - 2 205,0 ათასი ლარი;
- გარემოს დაცვა - 2 225,0 ათასი ლარი;
- საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 5 124,0 ათასი ლარი;
- დასვენება, კულტურა და რელიგია - 2 861,5 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა - 259,0 ათასი ლარი;
- განათლება - 6 285,7 ათასი ლარი;
- სოციალური დაცვა -1 658,9 ათასი ლარი;

მერის მოადგილემ, თ. ფოლოდაშვილმა აღნიშნა, რომ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელის მიერ დეტალურად, ამომწურავად იქნა წარმოდგენილი და განხილული ბიუჯეტის პროექტი.

პროექტის წარდგენის შემდგომ, დამსწრე პირებმა გააკეთეს გარკვეული განმარტებები და უპასუხეს შეკითხვებს:

1.მცხეთის მუნიციპალიტეტის მერმა, *დიმიტრი ზურაბიშვილმა* კითხვით მიმართა სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელს: - გამომდინარე იქედან, რომ საკრებულოს დადგენილებით გაიზარდა მშენებლობის სანებართვო მოსაკრებელი, მოგვცა თუ არა რაიმე სხვაობა ამან და თუ გაქვთ დათვლილი პროცენტულად რამდენი?

- *ნ.ხუხუნაიშვილმა* განმარტა, რომ ადრე მოქმედი ნორმატიული აქტით მოსაკრებლის ოდენობა იყო ერთი ლარი განაშენიანების ფართის მიხედვით 1 კვ.მ-ზე ყველა ტიპის ნაგებობისთვის. დღეს, დიფერენცირებულია ოდენობა შენობა-ნაგებობების კლასების მიხედვით, რამაც გაზარდა სანებართვო შემოსულობების ოდენობა და დაახლოებით ათი თვის მონაცემებით ეს არის 514 548 ლარი;

2.მცხეთის მუნიციპალიტეტის მერმა, *დიმიტრი ზურაბიშვილმა* მიმართა მერის მოადგილეს- თ. ფოლოდაშვილს და აღნიშნა, რომ მოსაკრებლების ნაწილში საჭიროა მეტი ეფექტურობა. როგორც ჩანს, ობიექტების ნაწილი თავს არიდებს მოსაკრებლის გადახდას და ამ კუთხით, დავალება უნდა მიეცეს ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილებას. გარდა ამისა, მიზანშეწონილია, მუნიციპალიტეტის მასშტაბით ობიექტები გადაითვალოს ხელახლა და განყოფილებამ წარმოდგინოს დეტალური ინფორმაცია;

-*თ. ფოლოდაშვილმა* აღნიშნა, რომ როგორც წესი, დასუფთავების მოსაკრებელს ობიექტები იხდიან წლის ბოლოს და არ არის გამორიცხული, წლის ბოლოსთვის მოხდეს თანხების ამოღება;

3.*მცხეთის მუნიციპალიტეტის მერმა* დასვა შეკითხვა, რა სიახლეები იყო დაგეგმილი ჯანდაცვისა და სოციალაური მიმართულებების კუთხით?

-მერის მოადგილემ, *თ ფოლოდაშვილმა* აღნიშნა, რომ ჯანდაცვისა და სოციალურ პროგრამასთან დაკავშირებით მუშავდება გარკვეული საკითხები. შესაძლებელია კონკრეტული მიმართულებებით თანხების გაზრდა, რის თაობაზეც წლის ბოლოსთვის შესაძლებელი იქნება ზუსტი ინფორმაციის წარმოდგენა;

4. ზედამხედველობის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა, *თ. ჯერვალიძემ* განმარტა, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის მასშტაბით აქტიურად მიმდინარეობს მშენებლობები და გამომდინარე, ხშირია სამშენებლო სამართალდარღვევების გამოვლენის ფაქტებიც. საჯარიმო სანქციებიდან შემოსულია საკმაოდ სოლიდური თანხები და 2023 წლისთვის ეს შემოსულობები კიდევ უნდა გაიზრდოს თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მზადდება კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს ჯარიმის ოდენობების გაზრდას.

5. ეკონომიკის სამსახურის ქონების მართვის და აღრიცხვის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა - *შალვა ქემოკლიძემ* აღნიშნა, რომ რა თქმა უნდა, ბიუჯეტის შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილია ქონების გაყიდვით მიღებული შემოსავალი, რის ოდენობის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია, რდგან

ეს დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე. მაგალითისთვის: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე დაურეგისტრირებელ ქონებას ძირითად შემთხვევაში განკარგავს თავად სახელმწიფო, რის შედეგადაც გარკვეული პროცენტი ირიცხება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. თუმცა, ეს თანხა გაცილებით მცირე ოდენობისაა, ვიდრე ეს იქნებოდა მუნიციპალიტეტის მიერ ქონების განკარგვის შემთხვევაში.

96 შეხვედრის დასასრულს, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერმა, მიმართა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს:

-საკრებულოში ბიუჯეტის პროექტის განხილვამდე, ყველა სტრუქტურულმა ერთეულმა კიდევ ერთხელ გაიაროს ბიუჯეტის პროექტი საკუთარ ნაწილში. მოინიშნოს შენიშვნები, წარმოადგინოს წინადადებები, რეკომენდაციები. კითხვების შემთხვევაში, მიმართოს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს. საკრებულოში განხილვის მიმდინარეობისას ყველა სამსახურის ხელმძღვანელი უნდა იყოს მზად შეკითხვების საპასუხოდ.

ოქმი, ჯგუფის ხელმძრვანელის დავალებით, შედგენილია იურიდიული განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - **ანა მამაგეიშვილის მიერ „22“ ფურცლად.**

ოქმს გავეცანი და ხელმოწერით ვადასტურებ:

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი *დიმიტრი ზურაბიშვილი*

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ილია ციციშვილი

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ნინო ჩინაშვილი

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ნუგზარ ხუხუნაიშვილი

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

თეიმურაზ ჯერვალიძე

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ზურაბ ივანიშვილი

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ანა მამაგეიშვილი

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

გიორგი პაპაშვილი